

შპს "უოლდვაიდ ენერჯი ლოჯისტიქს"

შპს „ველლ ლოჯისტიქს“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური მდგომარეობა

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთეულ ლარში

ფინანსური მდგომარეობა	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10 520	142 738	323 336
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	456 655	860 368	290 775
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2 545	-	-
მარაგები	-	-	-
მზა პროდუქცია	-	-	-
სხვა	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	10 368	1 052	886
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
თვითღირებულების მოდელით	-	-	-
გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-	-
ძირითადი საშუალებები	389 876	99 355	66 463
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	903 932	953 237	-
სულ აქტივები	1 773 895	2 056 750	681 460
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	243 132	267 701	44 950
ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	2 082	1 555	527
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	144 252	-	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	947 850	824 836	-
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	151 998	166 894	-
სულ ვალდებულებები	1 489 314	1 260 986	45 477
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')	200	200	200
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	284 381	795 564	635 783
გადაფასების რეზერვი	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	284 581	795 764	635 983
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 773 895	2 056 750	681 460

საქმიანობის შედეგები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთეულ ლარში

საქმიანობის შედეგები	31.12.2020	31.12.2019
ნეტო ამონაგები	3 667 423	5 469 296
საქონლის გაყიდვიდან	-	-
მომსახურების გაწევიდან	3 667 423	5 469 296
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	-	-
საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	3 667 423	5 469 296
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6 160	1
დასაქმებულთა ანაზღაურება	-350 568	-402 544
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-88 469	-58 915
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	-53 083	-36 134
იჯარის ხარჯი	-7 119	-7 119
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-3 527 575	-4 776 133
სულ საოპერაციო ხარჯები	-4 020 654	-5 280 844
საოპერაციო მოგება	-353 231	188 452
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან	-108 146	-7 177
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-49 806	-21 494
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობ	-511 183	159 781
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-511 183	159 781
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადა	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-511 183	159 781
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	795 764	635 983
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	284 581	795 764

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთეულ ლარში

	საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-127 615
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-127 615
სავალუტო კურსის ეფექტი	-4 603
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	142 738
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	10 520

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „უოლდეაიდ ენერჯი ლოჯისტიკს“ (ს/ნ 205216871) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია-2007 წლის 1 აგვისტოს. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, თბილისი, ყაზბეგის გამზირი 12ა. კომპანიის ფიზიკური მისამართები: 1) საქართველო, თბილისი, მ. ალექსიძის 12; 2) საქართველო, ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.24.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

- 1) 33,34 % წილი გიორგი გოგიაშვილი (პ/ნ 01008004339);
- 2) 33,33 % წილი გიორგი გეწაძე (პ/ნ 01017008111);
- 3) 33,33 % წილი ირაკლი ქათამაძე (პ/ნ 01024004828)

კომპანიის დირექტორი არის გიორგი გეწაძე (პ/ნ 01017008111). კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს სატვირთო სატრანსპორტო მომსახურების გაწევას.

2. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

2020 წლის 27 აგვისტოს კომპანიამ დაარსა შპს „ველლ ლოჯისტიკს“ ს/კ: 405409543 და განახორციელა მის საწესდებო კაპიტალში 324 000 ლარის ღირებულების აქტივის შეტანა.

შპს ველლ ლოჯისტიკსის 100% წილის მფლობელია შპს უოლდეაიდ ენერჯი ლოჯისტიკს.

კომპანიის დირექტორი არის გიორგი კუბლაშვილი (პ/ნ 01011010235). კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა - სატვირთო სატრანსპორტო მომსახურების გაწევა.

3. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ერთეულ ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება ყოველი კალენდარული თვის ბოლოს და მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშევა. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებ მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია მომსახურება;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია მომსახურება;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

ძირითადი საშუალებების დასახელება	წლიური განაკვეთი (%)
უმრავი ქონება - საოფისე ფართი	5%
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	20%
ავეჯი და ინვენტარი	20%
ავტომობილები	20%

იჯარით აღებული ქონების რემონტის დანახარჯი 15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში და კომპანიის სალაროში არსებული ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული დებიტორული დავალიანება გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

4. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 29 სექტემბერს.

შპს „უოლდვაიდ ენერჯი ლოჯისტიკს“-ის

დირექტორი: გიორგი გეჭაძე

